



**საქართველო**  
**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

N 27 4

02/03/2020

**ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის  
 პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული  
 პროექტების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცებულ იქნას ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტები (დანართის შესაბამისად).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა.
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუები-ს ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

